ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარის უფლებით, პირობებით სარგებლობაში გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი აცხადებს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის ელექტრონულ აუქციონს:

1. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N2, ნაკვეთი N1-ში მდებარე მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის შესასვლელში კოლონადების მარჯვნივ არსებულ ფართს /ფართობით: 11.0 კვ.მ/ იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის. /საკადასტრო კოდი N03.05.26.054/

ა. საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1200 (ათას ორასი) ლარს.
ბ. „ბე"–ს რაოდენობა შეადგენს 360 (სამას სამოცი) ლარს;
გ. ბიჯი განისაზღვროს 100 (ასი) ლარის რაოდენობით;
დ. იჯარის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით.

ინფორმაცია: იმ შემთხვევაში თუ, სარგებლობაში გადაცემული უძრავ-მოძრავი ქონება, სარგებლობის ვადაში მიიღებს რაიმე სახის დაზიანებას, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია განახორციელოს ქონების საექსპლუატაციო სამუშაოები.

2. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N2, ნაკვეთი N1-ში მდებარე მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის შესასვლელში კოლონადების მარცხნივ არსებულ ფართს /ფართობით: 11.0 კვ.მ/ იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის. /საკადასტრო კოდი N03.05.26.054/

ა. საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1200 (ათას ორასი) ლარს.
ბ. „ბეს" რაოდენობა შეადგენს 360(სამას სამოცი) ლარს;
გ. ბიჯი განისაზღვროს 100 (ასი) ლარის რაოდენობით;
დ. იჯარის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით.

ინფორმაცია: იმ შემთხვევაში თუ, სარგებლობაში გადაცემული უძრავ-მოძრავი ქონება, სარგებლობის ვადაში მიიღებს რაიმე სახის დაზიანებას, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია განახორციელოს ქონების საექსპლუატაციო სამუშაოები.

3. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N2, ნაკვეთი N1-ში მდებარე ააიპ „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის საკუთრებაში არსებული ატრაქციონი „ორბიტა"-ს იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის. /საკადასტრო კოდი N03.05.26.054/

ა. საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1600.0 (ათას ექვსასი) ლარს.
ბ. „ბე"–ს რაოდენობა შეადგენს 480 (ოთხას ოთხმოცი) ლარს;
გ. ბიჯი განისაზღვროს 100 (ასი) ლარის რაოდენობით;
დ. იჯარის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით.

ინფორმაცია: იმ შემთხვევაში თუ, სარგებლობაში გადაცემული უძრავ-მოძრავი ქონება, სარგებლობის ვადაში მიიღებს რაიმე სახის დაზიანებას, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია განახორციელოს ქონების საექსპლუატაციო სამუშაოები.

4. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N2, ნაკვეთი N1-ში მდებარე ააიპ „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის საკუთრებაში არსებული ატრაქციონი „საბავშვო მატარებელი"-ს იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის. /საკადასტრო კოდი N03.05.26.054/

ა. საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 2000 (ორი ათასი) ლარს.
ბ. „ბე"–ს რაოდენობა შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს;
გ. ბიჯი განისაზღვროს 100 (ასი) ლარის რაოდენობით.
დ. იჯარის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით.

ინფორმაცია: იმ შემთხვევაში თუ, სარგებლობაში გადაცემული უძრავ-მოძრავი ქონება, სარგებლობის ვადაში მიიღებს რაიმე სახის დაზიანებას, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია განახორციელოს ქონების საექსპლუატაციო სამუშაოები.

5. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N2, ნაკვეთი N1-ში მდებარე ააიპ „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) ერთეული ჩოგბურთის მაგიდის იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის. /საკადასტრო კოდი N03.05.26.054/

ა. საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 130.0 (ასოცდაათი) ლარს.
ბ. „ბე"–ს რაოდენობა შეადგენს 39.0 (ოცდაცხრამეტი) ლარს;
გ. ბიჯი განისაზღვროს 100.0 (ასი) ლარის რაოდენობით;
დ. იჯარის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით.

ინფორმაცია: იმ შემთხვევაში თუ, სარგებლობაში გადაცემული უძრავ-მოძრავი ქონება, სარგებლობის ვადაში მიიღებს რაიმე სახის დაზიანებას, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია განახორციელოს ქონების საექსპლუატაციო სამუშაოები.

6. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N2, ნაკვეთი N1-ში მდებარე ააიპ „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის საკუთრებაში არსებული ატრაქციონი „ავტოდრომი“-ს იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის. /საკადასტრო კოდი N03.05.26.054/

ა. საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 3500.0 (სამი ათას ხუთასი) ლარს.
ბ. „ბე“–ს რაოდენობა შეადგენს 1050.0 (ათას ორმოცდაათი) ლარს;
გ. ბიჯი განისაზღვროს 100.0 (ასი) ლარის რაოდენობით.
დ. იჯარის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით.

ინფორმაცია: იმ შემთხვევაში თუ, სარგებლობაში გადაცემული უძრავ-მოძრავი ქონება, სარგებლობის ვადაში მიიღებს რაიმე სახის დაზიანებას, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია განახორციელოს ქონების საექსპლუატაციო სამუშაოები.

7. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N2, ნაკვეთი N1-ში მდებარე ააიპ „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის საკუთრებაში არსებული გზის ნაწილის (ფართობი 50.0 კვ.მ), საბავშვო მინიატურული მანქანების მოძრაობისათვის, იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის. /საკადასტრო კოდი N03.05.26.054/

ა. საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.
ბ. „ბე“–ს რაოდენობა შეადგენს 150 (ას ორმოცდაათი) ლარს;
გ. ბიჯი განისაზღვროს 100 (ასი) ლარის რაოდენობით.
დ. იჯარის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით.

ინფორმაცია: იმ შემთხვევაში თუ, სარგებლობაში გადაცემული უძრავ-მოძრავი ქონება, სარგებლობის ვადაში მიიღებს რაიმე სახის დაზიანებას, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია განახორციელოს ქონების საექსპლუატაციო სამუშაოები.

8. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N2, ნაკვეთი N1-ში მდებარე ააიპ „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილის (ფართობი 30.0 კვ.მ), საბავშვო მატარებლის მიმდებარე ტერიტორიაზე გადასატანი საბავშვო ატრაქციონი „ბატუტის“ განთავსებისათვის, იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის. /საკადასტრო კოდი N03.05.26.054/

ა. საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 300(სამასი) ლარს.
ბ. „ბე“–ს რაოდენობა შეადგენს 90 (ოთხმოცდაათი) ლარს;
გ. ბიჯი განისაზღვროს 100 (ასი) ლარის რაოდენობით.
დ. იჯარის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით.

ინფორმაცია: იმ შემთხვევაში თუ, სარგებლობაში გადაცემული უძრავ-მოძრავი ქონება, სარგებლობის ვადაში მიიღებს რაიმე სახის დაზიანებას, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია განახორციელოს ქონების საექსპლუატაციო სამუშაოები.

აუქციონში მონაწილეობის წესი და პირობები

1. ელექტრონული აუქციონის ფორმით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა:

ა) შესაბამის ვებ-გვერდზე დარეგისტრირება (რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირები);

ბ) რეგისტრაციის დროს ელექტრონული აუქციონის წესების გაცნობა და მათზე თანხმობის გაცხადება;

გ) პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში, ელექტრონული აუქციონის პირობების გაცნობა;

დ) საბანკო დაწესებულების მეშვეობით, აგრეთვე, „ინტერნეტბანკინგის“, საბანკო პლასტიკური ბარათისა და სხვა ელექტრონული საშუალებების მეშვეობით, „ბე“-ს გადახდა ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა/გააქტიურება (ელექტრონულად).

3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ლოტის პრივატიზებისთვის მოწყობილ ელექტრონულ აუქციონში, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უნდა წარადგინოს/გააქტიუროს (ელექტრონულად) ან ბე უნდა გადაიხადოს, თითოეული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონებისთვის ცალ-ცალკე.

4. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველს შეიძლება უარი ეთქვას ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობაზე, თუ დარღვეულია მე-2 ან/და მე-3 პუნქტების მოთხოვნები.

5. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილებისა და საწყის საპრივატიზებო საფასურზე ბიჯის დამატების შემთხვევაში, იძენს ელექ-ტრონულ აუქციონში მონაწილის სტატუსს.

6. ელექტრონული აუქციონი ტარდება ონლაინ რეჟიმში.

7. ელექტრონული აუქციონის ვაჭრობის დროს ფასის მატება ჩანს ონლაინ რეჟიმში.

8. ელექტრონული აუქციონის დასაწყისად ითვლება მისი შესაბამის ვებგვერდზე გამოცხადების მომენტი.

9. ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირს, რომელსაც სურს საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან დაიწყოს ვაჭრობა, ონლაინ რეჟიმში ამატებს ფასს (რაც ნიშნავს საწყის საპრივატიზებო საფასურზე ბიჯის დამატებას), რომელიც, ასევე ფიქსირდება ონლაინ რეჟიმში. ვაჭრობა გრძელდება, სანამ რომელიმე მონაწილე არ დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს. მუნიციპალიტეტის ქონება ითვლება გაყიდულად ელექტრონული აუქციონის იმ მონაწილეზე, რომლის მიერაც, ონლაინ რეჟიმში, ვაჭრობის დასრულების მომენტისთვის, შეთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი.

10. თუ ელექტრონული აუქციონის დასრულებამდე (მითითებული უნდა იყოს ელექტრონული აუქციონის დასრულების ზუსტი დრო) ბოლო 2 წუთის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, მაშინ ფასის შეთავაზების დრო გაგრძელდება 2 წუთით, დასრულების მითითებული მომენტიდან. თუ ამ დროის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, დრო კიდევ გაგრძელდება 2 წუთით, სანამ არ დაფიქსირდება საბოლოო თანხა. მაგრამ, თუ დამატებული დროის განმავლობაში ახალი ფასი არ იქნება შეთავაზებული, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება საბოლოო ფასის შემთავაზებელი პირი.

11. ვაჭრობის დასრულებისას, გამარჯვებულსა და ელექტრონული აუქციონის სხვა მონაწილეებს, ელექტრონული გზით, გაეგზავნებათ ინფორმაცია ელექტრონული აუქციონის შედეგების შესახებ, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

12. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს, ელექტრონული გზით, ეცნობება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულების სრულად გადახდის თარიღი და პირობები, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

13. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე გადახდილი „ბე“ ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

14. ელექტრონულ აუქციონში დამარცხებულ მონაწილეებს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია დაუბრუნდებათ ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

15. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი/გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე სრულად ირიცხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა;

16. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე, აგრეთვე, სრულად ირიცხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ აუქციონის მონაწილემ დაარღვია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის N65 დადგენილებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული წესი ან/და პირობები.

17. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან არაუმეტეს, 15 კალენდარული დღის ვადაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან გააფორმოს სარგებლობის ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

18. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულ პირს შეტანილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო წლის გადასახდელი ქირის ოდენობაში.

19. სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება სარგებლობის ხელშეკრულებით, სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ:

ა) ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში – გადაუხდელი ქირის 0.1%, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში – დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში,

პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%.

20. სარგებლობის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა, მიიჩნევა სარგებლობის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღამსრულებელი ორგანოს მიერ. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ უნაზღაურდება მის მიერ გაწეული სხვა ხარჯები.

21. გარიგებათა გაფორმების წესი და მოსარგებლის პასუხისმგებლობა განისაზღვრება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუტაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის N65 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

22. აუქციონი იწყება 2016 წლის 31 მაისს 15 საათზე და სრულდება 2016 წლის 15 ივნისს 15 საათზე. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3. ტელეფონი: 0(431) 24 55 46, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.